

სტატი ARTICLES

ნათია ნაცვლიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კათოლიკური ეკლესიები საქართველოში: მშენებლები და შემწირველები (XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი)

საკვანძო სიტყვები: კათოლიკური ეკლესიები საქართველოში; საეკლესიო მშენებლობა; მშენებლობის დაფინანსების წყაროები; მშენებლობის პატრონაჟი

საქართველოში კათოლიციზმის ისტორია რუსუდანის მეფობის (1223-40) დროს დომინიკელი და ფრანცისკელი ბერების ჩამოსვლით დაიწყო.¹ 1328 წელს პაპ იოანე XXII-ს ინიციატივით თბილისში რომაულ-კათოლიკური საეპისკოპოსო დაარსდა, რასაც კათედრალის მშენებლობა მოჰყვა. თბილისის საეპისკოპოსომ 1507 წლამდე იარსება. 1661 წელს რომის წმინდა საყდარმა საქართველოში სამისიონერო საქმიანობა კაპუცინ მღვდლებს მიანდო. ისინი აქტიურად მოღვაწეობდნენ საქართველოს სამეფო-სამთავროებში. კათოლიკე ბერებს კეთილგანწყობით ხვდებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ხელისუფლება.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის, როცა რუსეთის იმპერიამ საქართველო დაიპყრო, კათოლიკური თემები ქვეყნის რამდენიმე რეგიონში არსებობდა. ურბანულ ცენტრებში, ახალციხის გარდა, ისინი უმეტესად

1 საქართველოში კათოლიციზმის ისტორიის შესახებ იხ.: ლომსაძე 1979; პაპაშვილი 1995; იველაშვილი 2009; ევროპულ ენებზე ყველაზე ამომწურავ ნაშრომად დღემდე რჩება მიხეილ თამარაშვილის ვრცელი გამოკვლევა [თამარაშვილი 1910]. თანამედროვე დასავლელი ავტორები ძირითადად საბჭოთა პერიოდის ისტორიაზე ამხვილებენ ყურადღებას – იხ., მაგალითად: ლორენცი 1990: 79-80; ზაგერი 2001: 55-57, 130-131, 213-224; იხ. ასევე: დობორჯგინიძე 2012; ნაცვლიშვილი 2015b.

ლათინურ რიტს მისდევდნენ. ამ თემების ეთნიკური შემადგენლობა ქალაქების მიხედვით სხვაობდა. თბილისში ეს იყო მულტიეთნიკური ჯგუფი, რომელიც ქართველებს, სომხებს, პოლონელებს, ფრანგებს, იტალიელებს და სხვა ეროვნების ხალხს მოიცავდა. ქუთაისში კათოლიკეთა უმრავლესობა ქართველი იყო, ხოლო გორსა და ბათუმში კათოლიკური თემი ქართველებისა და სომხებისგან შედგებოდა.

განსხვავებული მდგომარეობა იყო სამცხე-ჯავახეთის პროვინციებსა და მათ მთავარ ქალაქში – ახალციხეში. რუსეთის იმპერიამ ეს რეგიონი 1828 და 1878 წლებში წარმოებული ომების შედეგად ოსმალეთის იმპერიას წაართვა. ოსმალების ბატონობის დროს ადგილობრივ ქართველ კათოლიკეებს წმ. გრიგოლ განმანათლებლის ძმობის წევრი უნიტორი ბერები ხელმძღვანელობდნენ. ეს იყო დომინიკელთა ორდენის სომხური განშტოება, რომელიც ღვთისმსახურებაში სომხურ რიტსა და ენას იყენებდა. მათი აქტივობის შედეგად რეგიონის როგორც ქართული, ისე სომხური წარმოშობის კათოლიკეებს შორის მტკიცე სომხური ტრადიცია ჩამოყალიბდა. ადგილობრივი სამღვდელოება გულმოდგინედ ცდილობდა ამ ტრადიციის შენარჩუნებას. კაპუცინებმა მხოლოდ 1730-იან წლებში შეძლეს ახალციხეში საკუთარი მისიონის დაარსება. XIX საუკუნეში კათოლიკეები ცხოვრობდნენ ახალციხეშიც და სამცხე-ჯავახეთის სოფლებშიც. მათი უმეტესობა სომხურ კათოლიკურ წესს მისდევდა. ეთნიკური ქართველი კათოლიკეების მხოლოდ ნაწილი ეკუთვნოდა ლათინური რიტის ეკლესიას.

კათოლიკეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ XIX საუკუნის საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათ შორის იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები, კომერსანტები, მეწარმეები, ექიმები, ადვოკატები, ჟურნალისტები, მეცნიერები, მუსიკოსები და სხვა. ქართველი კათოლიკე ინტელექტუალები პეტრე ხარისჭირაშვილი და მიხეილ თამარაშვილი ეროვნულ იდენტობასა და კულტურულ თვითგადარჩენაზე ზრუნავდნენ და ქართული ნაციონალიზმის იდეებსა და მისწრაფებებს იზიარებდნენ.

კათოლიციზმი რუსეთის იმპერიაში უმცირესობის რელიგია იყო. XIX საუკუნის განმავლობაში როგორც ლათინური, ისე ბერძნული და სომხური რიტის კათოლიკეებს შევიწროების რამდენიმე ტალღა დაატყდათ თავს, განსაკუთრებით ნიკოლოზ I-ის მეფობის პერიოდში (1825-55). მათი მდგომარეობა შედარებით უკეთესი გახდა 1870-იანი წლების შემდეგ და ბევრად გაუმჯობესდა 1905 წლიდან, როცა ნიკოლოზ II-მ იმპერიაში მცხოვრებ კათოლიკეებს მეტი თავისუფლება მიანიჭა. შეზღუდვებისა და ხანგრძლივი ბიუროკრატიული პროცედურების მიუხედავად, კათოლიკური თემები მთელი იმპერიის ფარგლებში ახერხებ-

დნენ საეკლესიო მშენებლობის ნებართვების მიღებას. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, ძირითადად 1860-1910 წლებში საქართველოში როგორც ლათინური, ისე სომხური რიტის ოცზე მეტი კათოლიკური ეკლესია და სამლოცველო აშენდა.²

ეკლესიებს კათოლიკური თემების ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი ეკავა. მათი წევრები მხოლოდ ფინანსურად როდი ეხმარებოდნენ საეკლესიო მშენებლობას. ისინი მოხალისეებადაც მუშაობდნენ და საკუთარ დროსა და ფიზიკურ შრომას უსასყიდლოდ გასცემდნენ.³ როგორც წესი, დაფინანსების გზა და თანხების მოძიების მეთოდები საქართველოს ყველა რეგიონში ერთნაირი იყო. ეკლესიის ასაშენებელი ხარჯების დაფარვა მდიდარი კათოლიკე კომერსანტებისა და მრეწველების, ასევე უშუალოდ მრეწვის მიერ ხდებოდა.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ეკლესიის მშენებლობას ხშირად სრულიად მოუზადებლად იწყებდნენ. შეიძლება წინასწარ არ სცოდნოდათ, თუ რა თანხა დასჭირდებოდა მშენებლობას, რა დროს მოანდომებდნენ მის დასრულებას ან ვინ გაიღებდა შემოწირულობას. მცირე საწყისი ბიუჯეტიც კი საკმარისი იყო ეკლესიის წარმომადგენელთა სამშენებლო საქმიანობის დაწყების წახალისებლად. ჩვეულებრივ, სამღვდელოების ამბიციები მათ ფინანსურ შესაძლებლობებს აჭარბებდა. ეკლესიის დასრულებას მშენებლობის ყველა საფეხურზე საფრთხე ელოდა. თითოეულ მღვდელს სურდა აეგო რაღაც განსაკუთრებული, რასაც ისინი მათ ხელთ არსებული თანხების ამოწურვამდე და ვალების აღებამდე მიჰყავდა. რომი არ მიესალმებოდა მსგავს წამოწყებებს და საყვედურს უცხადებდა პასუხისმგებელ პირს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ეკლესიის დასრულებას შეძლებდა. მაგალითად, 1749 წელს, პროპაგანდა ფიდეს (*Propaganda Fide*) წმინდა კონგრეგაციამ ნიკოლა და ჯირჯენტი გაათავისუფლა ვიკარის თანამდებობიდან იმის გამო, რომ მან თბილისში დიდი ეკლესიის მშენებლობის დასამთავრებლად კაპუცინთა მისიონის სახლები და დუქნები გაყიდა [თამარაშვილი 1995: 681; ხოშტარია 2009:160].

1804 წელს კაპუცინებმა თბილისში ახალი ეკლესიის მშენებლობა დაიწყეს. ორი წლის შემდეგ მისიონის წინამძღვარი ფრანკო ანტონიო

2 მათ შორისაა: წმ. იოსების ეკლესია, არალი (1860); ღვთისმშობლის დაბადების ეკლესია, ვალე (1862); ღვთისმშობლის ეკლესია, ქუთაისი (1862); წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია, თბილისი (1870-77); წმ. ჯვრის ეკლესია, ახალციხე (1881); მაცხოვრის ეკლესია, წყალთბილა (1883); ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, თბილისი (1884 და 1902-03); ღვთისმშობლის ეკლესია, სხვილისი (1895); იესოს წმ. გულის ეკლესია, ხიზაბავრა (1898-1900); ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია, ბათუმი (1898-1903); ამაღლების ეკლესია, კარტიკამი (1900-08); ღვთისმშობლის ეკლესია, უდე (1902-09); წმ. სტეფანეს ეკლესია, ხულგუმო (1903) და სხვა.

3 ეს მიღებული პრაქტიკა იყო XIX საუკუნეში. იხ.: მაგალითად, გრაიზი 2009.

პადუელი წმინდა კონგრეგაციას სწერდა, რომ მათ მთავარმართებელ პავლე ციციანოვის⁴ დახმარებით რუსეთის მთავრობისგან მიღებული 6000 მანეთი სრულად დახარჯეს და ახლა ეკლესიის დასამთავრებლად ბალის, სახლისა და ორი ცარიელი მიწის ნაკვეთის გაყიდვა სჭირდებოდათ. საპასუხო წერილში წმინდა კონგრეგაციამ ის დაუდევრობაში დაადანაშაულა: „სჩანს თქვენ საჭირო ზომა არ მიგიღიათ და, ვინ იცის, ეგებ უდიდესი რისამე აშენებაც განიზრახეთ ...“ [თამარაშვილი 1902/2011:496, 497]. 6000 მანეთის გარდა კაპუცინებმა მიიღეს 200 სკუდი და 720 ოსმალური პიასტრი წმინდა კონგრეგაციისგან და ფულადი დახმარება ვენის მთავრობისგან, მაგრამ მრევლს ვალის აღება მაინც მოუწია. მათ 1000 მანეთი პროცენტით ისესხეს მთავრობისგან. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მშენებლობა 1808 წელს დასრულდა. მღვდელი ფრანკო ანტონიო აღიარებდა, რომ ხარჯმა ქონებას გადააჭარბა, მაგრამ ის ძალიან ამაყი ჩანს, როცა აღწერს ახალ ეკლესიაში შესულ პროცესიას:

პროცესიას აქეთ იქით რუსის ჯარი ახლდა და წინ მიუძღოდნენ რუსის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო აფიცრები, ქართველები, სომხები, და მთელი ქალაქი უყურებდა. აქაური ქართველების კათალიკოსმა და მათმა მიტროპოლიტმა ეკლესიაში შემოსვლა ინებეს, ეგრეთვე სომხების პირველი ეპისკოპოსიც შემოვიდა. პატივი ვეცით და სკამზედ დავსვით [თამარაშვილი 1902/2011:497].

XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისგან ფულადი დახმარების მიღება. მომდევნო წლებში ეს ძალზე იშვიათად ხდებოდა. 1900 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სოფელ კარტიკამის (ჯავახეთის რეგიონი) მრევლს ახალი სომხურ-კათოლიკური ეკლესიის აშენების ნება მხოლოდ იმ პირობით მისცა, თუ ისინი მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს მხოლოდ საკუთარ თავზე აიღებდნენ.⁵ ექვსი წლის შემდეგ, როცა მრევლს სახსრები გამოეღია, მთავრობის დახმარება მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ სომეხ-კათოლიკეებს ტირასპოლის რომაულ-კათოლიკური საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე 4000 მანეთის ოდენობის შემოწირულობის შეგროვების ნება დართეს. 1906 წელს გაცემული ნებართვა 1908 წელს განახლდა.⁶

4 პავლე ციციანოვი იყო რუსეთის იმპერიის სარდალი და ქვეითი ჯარის გენერალი 1804 წლიდან. კაპუცინებმა მისი დახმარებით მთავრობისგან ეკლესიის ასაშენებელი ფული მიიღეს. ციციანოვს თავად დაუხატავს კათოლიკეთა მონასტრის გეგმა. იხ.: თამარაშვილი 1902/2011: 497.

5 Кавказ, 1900, №206, 3.

6 Кавказ, 1908, №99, 2.

ეკლესიების მშენებლობა შეზღუდული ბიუჯეტით იწყებოდა და მისი დიდი წილი მრევლის მიერ იყო გაღებული. ისინი აფინანსებდნენ სრულად თუ ნაწილობრივ ახალციხისა და ახალქალაქის რაიონის სოფლების თითქმის ყველა ეკლესიის როგორც მშენებლობას, ისე რეკონსტრუქციას. მრევლის წევრების უმეტესობა ძალიან ღარიბი იყო, ამიტომ ისინი ფულს წლების განმავლობაში აგროვებდნენ. 1899 წელს სოფელ თორიაში მომხდარმა მიწისძვრამ სომხურ-კათოლიკური ეკლესია რომ დააზიანა, მრევლმა მის აღსადგენად საჭირო თანხის მოგროვება მხოლოდ 1905 წლისთვის შეძლო [კარაპეტიანი 2011:207].

სოფელ უდეს მღვდელ სიმონ ჭილაშვილს ხელთ მხოლოდ 1500 მანეთი ჰქონდა, როცა ეკლესიის მშენებლობა გადაწყვიტა. 11 000 მანეთი მან თამასუქით ისესხა. სამშენებლო მასალები – ქვიშა, ქვა, კირი და ხე მრევლმა უსასყიდლოდ გაიღო. 1905 წელს, მშენებლობის დაწყებიდან ხუთი წლის შემდგომ, სიმონ ჭილაშვილს ფული გაუთავდა. მას 12 000 მანეთი ჰქონდა დახარჯული, ეკლესია კი კვლავ დაუმთავრებელი იყო.⁷ 1897 წელს მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა მღვდელი მიხეილ ვარძელაშვილიც. მან სოფელ ხიზაბავრის ეკლესიის მშენებლობა ადგილობრივად, ქუთაისსა და რუსეთში შეგროვებული ფულით დაიწყო, მაგრამ გაჩერება მოუწია, როცა ნაგებობის კედლებმა შვიდ არშინს (დაახლოებით ხუთ მეტრს) მიაღწია.⁸ მშენებლობის გასაგრძელებლად თანხების მოძიება იყო საჭირო. ფულის საზღვარგარეთ თუ იმპერიის ფარგლებში შეგროვება სასულიერო პირებს ხშირად უცდიათ და ზოგჯერ დიდი წარმატებითაც. შეწირულობების შეგროვების დაწყებამდე მშენებლობის მოთავე მღვდელს სათანადო ნებართვა უნდა მიეღო. იმპერიის შიგნით თანხების მოძიების უფლებას ხელისუფლება გასცემდა, ხოლო მის ფარგლებს გარეთ ვატიკანის ოფიციალური წერილი იყო საჭირო.

1897 წელს მღვდელმა ანსელმ მღებრიშვილმა ბათუმში დაიწყო ეკლესიის მშენებლობა. მას სურდა, თანხა ევროპაში შეეგროვებინა. ფრანგმა მღვდელმა მას ურჩია, წასვლამდე ოფიციალური წერილი მოეპოვებინა:

რადგან მატყუარები ბევრი დადიან ევროპაში, ფულს კრეფავენ და ამისთვის დღეს ველარავის ენდობიან და აღარავის არ აძლევენ არაფერსაო და შენ როცა რომიდან ქაღალდი გექნება, მაშინ აღარაფრის სიძნელე აღარ გექნება და თვით ეპისკოპოზებიც დაგეხმარებიან, რომ ფული იშოვნო; მას შემდგომ გირჩევ რომ ამერიკაშიდ წახვიდე, რადგან იქ დიდი მდიდრები არიან და დიდ ძალს ფულს იშოვნიო.⁹

7 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, საქმე N3666.

8 იქვე, საქმე №1609.

9 იქვე, საქმე №2640.

1905 წელს სიმონ ჭილაშვილმა მთავრობისგან 15 000 მანეთის შეგროვების ნებართვა მიიღო, მაგრამ იმპერიაში შექმნილი მდგომარეობის გამო ევროპაში გამგზავრება და შემომწირველთა იქ მოძებნა სურდა.¹⁰ ის მიხეილ თამარაშვილს წერდა:

ვფიქრობთ, რომ ეპისკოპოზისაგან რეკომენდაციის წერილი მივიღოთ და საზღვარ გარეთ წამოვიდეთ ფულის მოსაკრებად ჩვენი ეკლესიის დამთავრებისათვის. ამისთვის გვირჩევენ რომ შეიძლება საფრანგეთსა და ბელგიაში ანუ რომში ფულის მოკრეფა თავისუფალ შემომწირველთაგან, ამისათვის მოგმართავ როგორც კეთილსა და გულისშემტკივარ მოღვაწესა, რომ ამაზედ ე. ი. ფულის მოკრეფაზედ შეგვატყობინოთ შეიძლება თუ არა?¹¹

არ არსებობს სიმონ ჭილაშვილის საზღვარგარეთ გამგზავრების დამადასტურებელი ცნობა. უდეს ეკლესიის სამხრეთი ფასადის წარწერის მიხედვით, ის 1909 წელს ადგილობრივი ხალხის სახსრებით აშენდა: „უდეს არის კათოლიკეები 2120 სული მაშენებელი ამა საყდრისა. მაჰმადიანები 520 სული. ორივე ტომით ქართველნი“. სოფლის კათოლიკური თემი ძალიან ამაყი იყო საკუთარი ძალისხმევის შედეგით, რადგან მათ ააშენეს: „ახალი ეკლესია ისეთი, რომ თელ კავკასიაშიდ პირველია სიდიდით და სილამაზითაც.“¹² წარწერის შინაარსი ასევე გვაფიქრებინებს, რომ მუსლიმ ქართველებს ხელგაშლილობა გამოუჩენიათ და გარკვეული თანხით დახმარებიან სხვა სარწმუნოების სალოცავის აშენებას.

კიდევ ერთი მღვდელი, რომელიც მიხეილ თამარაშვილს ვატიკანთან შუამავლობას სთხოვდა, მიხეილ ვარძელაშვილი იყო. სავალალო ფინანსური მდგომარეობის აღწერის შემდგომ, რაც მის მიერ წამოწყებულ მშენებლობას შერჩერების საფრთხეს უქმნიდა, თავის წერილში ის წერდა:

ამის გამო აგერ უნდა მოგმართოთ თქვენ და გთხოვოთ რომ როგორმე თუ შეიძლება მიშუამდგომლოთ პაპთან ანუ ვატიკანში როგორც სახეირო იყოს რომ ან ცოტა რამ შემწეობა მოგვცე ყოვლითა ანუ მოწმობა მომცენ რომ იტალიაში და ფრანციაშიდ დავიარო ფულები მოვკრიფო რომ როგორმე იქნება შევასრულო ეკლესიის კეთება.¹³

ფულის შეგროვება მძიმე და ხანგრძლივი საქმიანობა იყო. ის დიდ სულიერ და ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვდა. მღვდლებისთვის იოლი არ იყო მტკიცედ აეტანათ რამდენიმე თვის ამაო ხეტიალი. მიხეილ ვარძელაშვილმა უკრაინაში გატარებული ხუთი თვის შემდეგ

10 1905 წელს რუსეთის იმპერიაში დაიწყო მასობრივი პოლიტიკური და სოციალური არეულობები, რომლებიც მალე რევოლუციაში გადაიზარდა.

11 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, საქმე №3666.

12 იქვე, საქმე №2381.

13 იქვე, საქმე №1609.

მხოლოდ 2500 მანეთი შეაგროვა და კიდევ 5000 სჭირდებოდა.¹⁴ 1898 წელს ის გაემგზავრა სტამბოლში, სადაც მან ფინანსური დახმარების მოძიების იმედით ფერიქოის ქართული კათოლიკური მონასტერი მოინახულა, თუმცა იმედგაცრუებული დარჩა, როცა აღმოაჩინა, რომ მონასტერი ძალიან ღარიბი იყო ან ცდილობდა ასეთად წარმოჩენილიყო და შეწირულობის გაღების სურვილი არავის ჰქონდა.¹⁵ ამის შემდეგ მამა მიხეილმა მიმართა სტამბოლში პაპის დელეგატს მონსინიორ ბონეტის [ფრეიზი 1984] და კილიკიის სომეხ პატრიარქს სტეფანე აზარიანს. ხსენებულთაგან პირველმა უარი განაცხადა მის დახმარებაზე, ხოლო მეორემ მხოლოდ მგზავრობის ხარჯი აუნაზღაურა. სასოწარკვეთილი მამა მიხეილი მ. თამარაშვილს სწერდა:

იმიტომ რომ თუ არსაიღიმ რაიმე იმედი და შემწეობა არ მომეშველა ამდენმა ჩემმა თავის ხეთქა და შრომა რომელმაც სიცოცხლე შუაზედ გამიყო ტყვილად და ცუდათ ჩამიაროს უნდა ასე რომ თუ კაცი შენობას ვერდახურამს ხომ იცით რომ ის შენობა რა დღეში ჩავარდება უეჭველად დაირღვევა... მეტი გზა აღარა მაქვს უნდა ჩამოვიდე რომშიდ თქვენი იმედითა ... რამე შემწეობა უნდა აღმომიჩინოთ ღვთისათვის და არა ჩემთვის მე მამაო აგერ ორი წელიწადია აქ იქ დავიარები იმ ეკლესიისთვის ჩემი ყოველი შესაძინი და ოჯახი მიტეხებული მყავს ყოველ კერძოდ რომ იქმნები ამ საწყლის და ღატაკთ ხალხსა.¹⁶

მამა მიხეილმა ეკლესიის დასრულება 1898 წელს მოახერხა. სამრეკლოს დასავლეთ ფასადზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით, თანხა როგორც ადგილობრივი და რეგიონული (ქუთაისის გუბერნია), ისე იმპერიის მასშტაბით შეუგროვებიათ. თანამედროვეთა აზრით, ის ერთ-ერთი საუკეთესო საეკლესიო ნაგებობა იყო მთელ რეგიონში. გაზეთი *ივერია* წერდა: „დღეს სოფ. ხიზაბავრა ამაყობს თავისი დიდის ეკლესიისთ“,¹⁷ ხოლო ზ. ჭიჭინაძე ამბობდა, რომ „ეს ეკლესია, მთელს ამ კუთხის კათოლიკეთ ეკლესიებში უპირველესად ჩაითვლება“ [ჭიჭინაძე 1906:78].

ბუნებრივია, პატარა სამლოცველოთა მშენებლებს ნაკლები სირთულეების გადალახვა უწევდათ. მცირე ზომის ნაგებობები ძირითადად სასაფლაოებზე იდგა და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს ადვილად შეეძლოთ სამშენებლო ხარჯის საკუთარ თავზე აღება. 1900 წელს თბილისის კუკიის სასაფლაოზე დაკრძალულ ფარმაცევტ ვილჰელმ შმიდტცის საფლავზე აღმართული სამლოცველო მთლიანად მისმა ქვრივმა,

14 იქვე, საქმე №1610.

15 ფერიქოის მონასტრის შესახებ იხ.: ნაცვლიშვილი 2015ბ.

16 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, საქმე N1611.

17 ივერია, 1898, №253.

ექიმმა სოფია შმიდტცმა დააფინანსა. სამლოცველო საერთო სარგებლობისთვის იყო განკუთვნილი [ნაცვლიშვილი 2015ა:110-111].

კათოლიკურ სამყაროში მიღებული იყო ქადაგების დროს მრევლის მოწოდება შემოწირულობის გაღებისკენ. ქადაგების ტექსტი, დაწერილი, სავარაუდოდ, 1840-იან წლებში, ეხება ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობას. მასში უცნობი მღვდელი მრევლს ატყობინებს, რომ მამა ფრანჩისკო ფინანსურ გაჭირვებაშია და ხალხს მის დასახმარებლად შემოწირულობის გაღებისაკენ „დიდი სასოებით“ მოუწოდებს.¹⁸ გაურკვეველია ამ მოწოდებამ გამოიღო თუ არა ნაყოფი. ქუთაისის ეკლესიის მშენებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით ცნობილია მხოლოდ ივანე ყაუხჩიშვილის სახელი, რომელმაც 1892 წელს ეკლესიის უხვად დეკორირებული დასავლეთ კარიბჭის ასაშენებლად გაიღო თანხა [ბულია... 2006ბ:113].

XIX საუკუნის კიდევ ერთი დოკუმენტი გვამცნობს თუ როგორ ავალდებულებდნენ მრევლის წევრებს დამხმარებოდნენ ეკლესიის მშენებელ მღვდელს საკვებითა და სამშენებლო მასალით. დოკუმენტში მოხსენიებულნი არიან სომხეთის ქალაქის ალექსანდროპოლის (დღევანდელი გიუმრი) კათოლიკეები და განმარტებულია ქრისტიანული ვალის აღსასრულებლად მათთვის ეკლესიის ქონის საჭიროება. დოკუმენტის ავტორი უცნობია, მაგრამ მისი მბრძანებლური ტონი, მღვდლების დანიშვნისა და მშენებლობისთვის ხალხზე ხარჯის დაკისრების უფლება მის მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე მიუთითებს. სავარაუდოდ, ის სომეხ კათოლიკეთა ეპისკოპოსი ან არქიეპისკოპოსი უნდა იყოს.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მშენებლობის ზედამხედველად დაინიშნა მამა ფლორენციო, ხოლო სოფლებს მისი ალექსანდროპოლში ცხოვრების ყოველ წელიწადზე პური, ერთი ლიტრი ერბო, ერთი ლიტრი ყველი, ორი ქათამი და ერთი ცხვარი დაეკისრა. იმისათვის, რომ ეს მოვალეობა თავიდან არავის აერიდებინა, პატრს თანაშემწედ მიუჩინეს ტერ პეტროსი. მას მოსახლეობისგან მოსაკრებლის შეგროვება და მამა ფლორენციოსთვის გადაცემა დაევალა. მასვე ეხებოდა სოფლების მცხოვრებთათვის სამშენებლო მასალების – ქვის, ქვიშისა და კირის მოტანის დაკისრება. დოკუმენტის ავტორი მრევლს ჰპირდებოდა:

ყოველთა ზედა რომელნი იზრუნებენ საყდრის შენობისათვის, მე მივანიჭებ ჩემი მამობრივი კურთხევასა, და ვთხოვ ღთისაგან რათა იმ გვარად აჰაშენოს თავიანთი ოჯახი, ვითარცა თვითო ზრუნუავსთ ღთის სახლისათვის.¹⁹

18 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1644, აღწერა №1, საქმე №1.

19 იქვე.

ხანდახან შემწირველები გაღებული თანხის სანაცვლოდ გარკვეულ სამსახურს ითხოვდნენ. მაგალითად, ქუთაისელი მეწარმე იოსებ ყაუხჩიშვილი მშობლიური ქალაქის კათოლიკურ ეკლესიას საკუთხევლის მოსაწყობად 400, ხოლო წმ. ნინოს ინსტიტუტს 150 მანეთს შეპირდა. სანაცვლოდ ის გარდაცვლილი ძმის ეკლესიის გალავნის შიგნით დაკრძალვას ითხოვდა. XIX საუკუნეში კანონით აკრძალული იყო სასაფლაოს გარეთ, ეკლესიის მახლობლად გარდაცვლილის დასაფლავება, თუმცა მღვდლისა და მრევლის წევრების თანხმობის შემთხვევაში გამონაკლისის დაშვება შეიძლებოდა. მრევლმა უარი განაცხადა და ყაუხჩიშვილის შემოთავაზება უარყოფილ იქნა.²⁰

საეკლესიო მშენებლობა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ხიზაბავრასა და უდეს მსგავსი დიდი ნაგებობების მშენებლობა დაახლოებით 30 000 მანეთი ჯდებოდა, ხოლო ბათუმის ეკლესიაზე, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული კათოლიკური ეკლესიაა საქართველოში, 240 000 მანეთი დაიხარჯა. ცხადია, ასეთი მშენებლობების წარმოება წარმოუდგენელი იქნებოდა შეძლებული შემომწირველების დახმარების გარეშე. მათ შორის ყველაზე მეტად ცნობილი არიან ზუბალაშვილების ოჯახის წევრები, მდიდარი ქართველი კათოლიკე კომერსანტები, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს კათოლიკური ეკლესიების მშენებლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. კონსტანტინე ზუბალაშვილი (1828-1901) და მისი ოთხი ვაჟიშვილი: ლევანი (1853-1914), სტეფანე (1860-1904), პეტრე (1862-1903) და იაკობი (1876-1941) შეძლებულ კათოლიკეთა მაღალ წრეს მიეკუთვნებოდნენ და თავიანთ დიდძალ ქონებას ქველმოქმედებას ახმარდნენ. მათ მნიშვნელოვანი წვლილი გაიღეს ქვეყნის ეკლესიებისა და საზოგადოებისათვის. საქართველოში არსებული რომაულ-კათოლიკური ეკლესიების და რელიგიური სკოლების უმეტესობა მთლიანად ან ნაწილობრივ მათი დაფინანსებულია.

კონსტანტინე ზუბალაშვილის სახელი უკავშირდება თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის მშენებლობას. ის კავკასიის ვიზიტატორისა და თბილისის ღვთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრის მაქსიმილიან ორლოვსკის თაოსნობით 1870-77 წლებში აშენდა არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის პროექტით [ბულია... 2006ა:155]. კონგრეგაციის წევრების უმეტესობა 1863 წლის აჯანყების შემდგომ პოლონეთიდან თბილისში გადმოსახლებული პოლონელები იყვნენ. მიძინების კათოლიკურმა ეკლესიამ მათ მიწა კუკიაზე გამოუყო.²¹ 1868 წელს სამშენებლო კომიტეტის წევრი კონსტანტინე ზუბალაშვილი კათოლიკურ თემს ახალი ეკლესიის მშენებ-

20 იქვე, ფონდი №8, აღწერა №1, საქმე №4100.

21 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, საქმე N1382.

ლობაში წვლილის შეტანას სთხოვდა. 1868-77 წლებში 26 968.47 მანეთის ოდენობის თანხა ქართულმა და პოლონურმა ოჯახებმა გაიღეს, თუმცა ის საკმარისი არ იყო დიდი ზომის ნეობაროკული შენობის დასასრულებლად. ნაგებობა 1893 წლამდე გუმბათის გარეშე იდგა. ეკლესიის ინტერიერის სათანადოდ გამართვამ რამდენიმე წელიწადს გასტანა [ფურიერი 1992:225-227]. ივანე ჯიმშეროვის ოჯახმა მამის ხსოვნის უკვდავსაყოფად 5000 მანეთი გაიღო. ამ თანხით 1891 წელს ეკლესიის ეზოს ღობე შემოავლეს.

კონსტანტინე ზუბალაშვილის ვაჟი სტეფანე თავის მამაზე უფრო ენთუზიასტი დონატორი იყო. ისაა ბათუმის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის – ქართველ კათოლიკეთა ყველაზე ამბიციური პროექტის ძირითადი დამფინანსებელი. მშენებლობის ინიციატორი მღვდელი ანსელმ მღებრიშვილი 1898 წლის 26 თებერვალს მიხეილ თამარაშვილს სწერდა, რომ მშენებლობისთვის მას 80 000 მანეთი სჭირდებოდა.²² საწყისი კაპიტალი ადგილობრივად შეგროვდა, თუმცა ეს არ იყო საკმარისი მშენებლობის გასაგრძელებლად. ნაგებობის დასრულება მხოლოდ სტეფანე ზუბალაშვილის გულუხვი შეწირულობის შემდეგ გახდა შესაძლებელი. მამა ანსელმმა იმავე თანხით იტალიასა და საფრანგეთში ეკლესიის გასაფორმებლად ძვირადღირებული ხატები, ქანდაკებები და ლიტურგიული ნივთები შეუკვეთა. უფრო მეტიც, მას მოქანდაკეების და მხატვრების რომიდან მოწვევაც კი სურდა.²³ დიდი ზომის ნეოგოთიკური ეკლესია 1902 წელს აკურთხეს. თანამედროვენი მას აღწერდნენ, როგორც ეკლესიას, რომლის მსგავსი „ჯერ მთელს კავკასიაში არ ყოფილა.“²⁴ თუმცა მისით ყველა როდი აღფრთოვანებულა. ზაქარია ჭიჭინაძე იმ შეაფასა, როგორც საქართველოსთვის უცხო სტილის, დაბალი ხარისხის შენობა და მისი მშენებლები გააკიცხა 240 000 მანეთის დახარჯვისთვის, რაც გაუმართლებელ ფუფუნებად მიიჩნია [ჭიჭინაძე 1904:82].

სტეფანე ზუბალაშვილი კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და სამშენებლო პროექტების მხარდამჭერი იყო. მან თბილისის მიძინების ეკლესიას 10 000 მანეთი შესწირა. ეკლესიის ადმინისტრატორი პავლე კალაიჯოვი მ. თამარაშვილს წერდა:

იგი სრულიად განვაახლეთ და განვადიდეთ. მის განახლება-გადიდებაზედ, მარტო სტეფანე კონსტანტინეს ძემ ზუბალოვმა დახარჯა ათასი თუმანი (10 000) მანეთი და ახლა ეკლესიისთვის სამკაულების განახლებაზე 1000 მანეთზე მეტი დავხარჯეთ თუ ეკლესიის მამობის ფულებიდგანა თუ მრევლისაგან შემოწირული ფულით. ამასთანვე

22 იქვე, №2642.

23 იქვე, №2654.

24 იქვე, №2662.

ახლათ გერმანიიდან გამოწერილ ორლანზე დაიხარჯა 3600 მანეთამდინ ... ახლა ყველა მნახველებს დიდათ მოსწონს ეს ეკლესია და ამბობენ რომ ახლა ესა ჰგავს ნამდვილ ევროპულ რომის-კათოლიკე მშენიერ ეკლესიებსაო.²⁵

სტეფანე ზუბალაშვილმა 1000 მანეთი გაიღო სოფელ ხიზაბავრაში კათოლიკე გოგონებისთვის ხელსაქმის სკოლის ასაშენებლად.²⁶ ის საეკლესიო მშენებლობას სუბსიდირების გზითაც აფინანსებდა. 1904 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, პავლე კალაიჯოვი კონსტანტინე ზუბალაშვილის ქალიშვილს იულია თუმანიშვილს სთხოვდა, დაერწმუნებინა ძმები, გაეგრძელებინათ თანხის გაცემა.

კონსტანტინე ზუბალაშვილის უფროსმა ვაჟმა ლევანმა დააფინანსა გორის წმ. ოჯახის სახელობის კათოლიკური ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები. 1914 წელს გაზეთი *ახალი ქართლი* დიდი დანანებით წერდა მისი გარდაცვალების შესახებ:

ვინ არ იცის რომ განსვენებული ლევანი იყო დაუღალავი მშრომელი, კეთილის მთესველი, ნამდვილი ქრისტიანე და განურჩევლად გულშემატკივარი ყველასათვის, მთელი საქართველოს შვილთათვის. ... საუკუნოდ ცოცხალი იქნება იგი განსაკუთრებით გორის ქართველ კათოლიკეთა გულში, რადგან მან დაუფასებელი, მუდამ მოსაგონარი ამაგი დასდო მათ. დიდია მისი ღვაწლი, ამ ღვაწლს ჰღალატებენ და მოწმობენ კედლები ამ წმინდა ეკლესიისა, რომელიც განახლებულ და გამშვენებულ იქნა მისი, მუდამ სიკეთის მთესველის ხელით. განსვენებულმა არ დაივიწყა თავისი მამა-პაპათა სამლოცველო და გაიგო თუ არა, რომ გორის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია, სიღარიბის გამო, უნუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, ... შეუდგა მის გამშვენებებსა ... დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნა ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები; და განახლდა ესე ეკლესია კათოლიკეებისა ...²⁷

დაფინანსების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო მრევლის წევრების მიერ ანდერძით დატოვებული ქონება იყო. კონსტანტინეს ბიძაშვილმა ნიკოლოზ ზუბალაშვილმა, რომელიც 1898 წელს გარდაიცვალა, სხვადასხვა კათოლიკურ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი ოდენობის თანხა დაუტოვა. წმინდა სავარდოს ძმობას მან 19 000 მანეთი უანდერძა, 2000 მანეთი მიძინების ეკლესიის გასამშვენებლად, ხოლო 1000-1000 მანეთი თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს და გორის წმ. ოჯახის ეკლესიებისათვის დატოვა.²⁸ ასევე გაიღო 2000 მანეთი კათოლიკე სტუ-

25 იქვე, №1897.

26 ცნობის ფურცელი, 1903, №2165, 3; №2288, 3.

27 ახალი ქართლი, 1914, №17, 2.

28 გორის კათოლიკური ეკლესიის მღვდელმა ასლანოვიჩმა აღნიშნული თანხა ორლანის შესაძენად და ეკლესიის იატაკის მოსაწყობად დახარჯა. იხ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, საქმე №1617.

დენტების განათლებისთვის.²⁹ თბილისის მიძინების ეკლესიამ მარია კარაევას ანდერძით 2000 მანეთი მიიღო. 1906 წელს ამავე ეკლესიას უანდერძა 1000 მანეთი ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის მიხაილ შჩერბინინის ქვრივმა იულია შჩერბინინამ.³⁰

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის საბუღალტრო წიგნი ზოგად წარმოდგენას იძლევა გაღებული შემოსავლის წყაროებისა და რაოდენობის შესახებ.³¹ შემოწირულობებით (18.9%), მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ თანხაზე დარიცხული პროცენტით (2.2%), ანდერძით დატოვებული ფულით (47.9%), ფასიანი ქაღალდებისა (2.7%) და საეკლესიო გადასახადებით (28.7%) 1869-72 წლებში სულ 12 455.21 მანეთი შეგროვდა. ცხადია, ეს ბუღალტერია ყველა ეკლესიისთვის ერთნაირი ვერ იქნება, თუმცა ის საინტერესო მასალას იძლევა XIX საუკუნის თბილისში კათოლიკური ეკლესიების დაფინანსების წყაროების გასარკვევად.

როგორც ჩანს, ქართველი და სომეხი კათოლიკეები ერთმანეთის საეკლესიო მშენებლობას არ აფინანსებდნენ. სავარაუდოდ, ორივე მხარისგან იქნა გაღებული შემოწირულობები ხიზაბავრაში. საბოლოოდ ამან სამღვდელოებასა და კათოლიკურ თემებს შორის დაძაბულობა და გაუგებრობა გამოიწვია. უკმაყოფილების მიზეზი ეკლესიის სამშენებლო წარწერა გახდა: „აღეშენა ესე რომის კათოლიკეთა ტაძარი იესოს გულისა მოღვაწეობითა მ. ვარძელაშვილისა შეწევნითა ხიზაბავრელ, რუსეთის და კავკაზელ კათოლიკეთა ღთ წელსა უდსა 1898“.

წარწერა მხოლოდ ქართულ და ლათინურ ენებზეა შესრულებული. ამ ფაქტს სომეხი კათოლიკეები გაუღიზიანებია, რადგან იმდროინდელი პრესის მიხედვით, სოფელ ალასტანის მკვიდრთ ეკლესიის ასაშენებლად 500 მანეთი გაუღიათ, ასევე შეუწირავთ 800 მანეთის ღირებულების ხატი და მიუტანიათ კირი [კარაპეტიანი 2011:236]. შესაბამისად, ისინი საკუთარი წვლილის სათანადოდ დაფასებას მოელოდნენ.

სამშენებლო საქმიანობის გარდა, კათოლიკე მრევლი ფულს სოციალური დახმარებისთვისაც აგროვებდა. მაგალითად, მიძინების ეკლესია სამრევლო სკოლის მოსწავლეების ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მომარაგების მიზნით საქველმოქმედო ლატარიას ატარებდა.³² ღარიბი ხალხისთვის მეორად ტანსაცმელს აგროვებდა წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოც.³³ საზოგადოების

29 ივერია, 1898, №30, 1-2.

30 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1645, აღწერა №1, საქმე №92, 105.

31 იქვე, ფონდი №1645, აღწერა №1, საქმე №21.

32 იქვე, ფონდი №1645, აღწერა №1, საქმე №224.

33 Кавказ, 1895, №131, 1.

შემოსავლის წყაროს საწევრო გადასახადები და შემოწირულობები შეადგენდა.

1839 წელს კათოლიკური მრევლის წევრმა ექიმმა იოანე კარაევმა საკუთარი სახსრებით დააარსა ერთ-ერთი პირველი საავადმყოფო უპოვართა და მიუსაფართათვის. ი. კარაევი უსასყიდლოდ ემსახურებოდა პაციენტებს. მან ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით კოჯორის მამულიდან შემოსავლის 1/6 საავადმყოფოს დაუნიშნა. შემოსული თანხა მხოლოდ პაციენტების სასაგრებლოდ უნდა დახარჯულიყო. შემოწირულობა გაიღო მისმა ოჯახმაც. სანაცვლოდ, წელიწადში ორჯერ მათი სულის მოსახსენიებელი ლოცვა აღევლინებოდა.³⁴

კვლევამ აჩვენა, რომ მშენებლობის ინიციატორი, როგორც წესი, მღვდელი იყო. სოფლებში ის თავად იყო დაფინანსების მოძიებელი პირი, მაშინ, როცა დიდ ქალაქებში თანხის მოზიდვას საგანგებოდ შექმნილი კომიტეტები უზრუნველყოფდნენ. მრევლი კათოლიკური ეკლესიების მშენებლობის პროცესს ხელს უმართავდა ფულით, სამშენებლო მასალითა და უსასყიდლოდ გაღებული შრომით.³⁵ ისინი ამყობდნენ საკუთარი ეკლესიებით. ეკლესია უფრო მეტი იყო, ვიდრე ღვთისმსახურების ადგილი, ის მრევლის წევრებში ღირსების გრძნობას აღვივებდა და თავს უფრო ფართო კათოლიკური ერთობის ღირსეულ ნაწილად აგრძნობინებდა.

34 იქვე, ფონდი №1645, აღწერა №1, საქმე №137.

35 XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში დაფინანსების მოძიების მეთოდები ყველა რელიგიური ჯგუფისთვის მეტ-ნაკლებად ერთნაირი იყო. მაგალითად, 1880-იან წლებში თბილისის ასირიელთა წმ. თომას ეკლესიის მშენებლობაზე მუშად, ხელოსნად, მეთულუხჩედ და მეურმედ უფასოდ მუშაობდნენ მრევლის წევრები. მათვე შეუძენიათ ეკლესიის ასაშენებლად საჭირო აგური. ქვიშა და ქვა კი ადგილობრივად იქნა მოპოვებული [დროება 1883, №84, 1]. 1900-იან წლებში აგებული თბილისის თეოდოსიის ეკლესიის ასაშენებელი ფული რუსეთში შეუგროვებიათ [ლილუაშვილი 2015:52, 66].

განსხვავებული მდგომარეობა ჰქონდათ თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში მცხოვრებ ლუთერან გერმანელებს. ხელისუფლებამ, რომელიც მათ რელიგიურ თავისუფლებაზე იყო პასუხისმგებელი, 1830 წელს მათდამი მატერიალური მხარდაჭერა ეკლესიების ასაშენებელი მიწის ნაკვეთებისა და 27 859.55 მანეთის გამოყოფით გამოხატა [საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1727, აღწერა №1, საქმე №29] 1890-იან წლებში, მას შემდეგ რაც გერმანელებმა ეკონომიკურ კეთილდღეობას მიაღწიეს, თბილისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა საკუთარი სახსრებით ააშენეს. 56 933.90 მანეთი მათ მხოლოდ ლუთერანთა შორის შეაგროვეს [ანგარიში 1898: 30].

დამოწმებანი

- ანგარიში 1898:** Bericht über den Bau der evangelisch-lutherischen Petri-Pauli-Kirche in Tiflis 1893-1897 vom Kirchenrat, Tiflis, 1898.
- ბულია ... 2006ა:** მარინე ბულია, მზია ჯანჯალია, თბილისი, ძველი საქართველოს ქალაქები, თბილისი: ბეთანია, 2006.
- ბულია ... 2006ბ:** მარინე ბულია, მზია ჯანჯალია, ქუთაისი, ძველი საქართველოს ქალაქები, თბილისი: ბეთანია, 2006.
- გრამიზი 2009:** Brendan Grimes, Funding a Roman Catholic Church in Nineteenth-Century Ireland, *Architectural History*, vol. 52, 2009, 147-168.
- დობორჯგინიძე 2012:** ნინო დობორჯგინიძე, „ზოგიერთი რამ ილიასეული ბარაქალას შესახებ“, *კადმოსი* №4, თბილისი, 2012, 73-115.
- ზაგერი 2001:** Christopher Lawrence Zugger, *The Forgotten: Catholics of the Soviet Empire from Lenin Through Stalin*, Syracuse and New York: Syracuse University Press, 2001.
- თამარათი 1910:** Michel Tamarati, *L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours*, Rome, Impr. de la Société Typographico-Editrice Romaine, 1910.
- თამარაშვილი 1902/2011:** მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, რეპრინტი, თბილისი: სიესტა, 2011.
- თამარაშვილი 1995:** მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი: კანდელი, 1995.
- იველაშვილი 2009:** თინა იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში, თბილისი: უნივერსალი, 2009.
- კარაპეტიანი 2011:** Samvel Karapetian, Javakh, Yerevan, Research on Armenian Architecture (RAA) Foundation, 2011.
- ლილუაშვილი:** მანონ ლილუაშვილი, „ფუნქციაშეცვლილი ეკლესიები თბილისში: ისტორია და არქიტექტურა“, *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, პროექტის მაცნე, თბილისი, 2015, 36-84.
- ლომსაძე 1979:** შოთა ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების ისტორიიდან: ახალციხური ქრონიკები, თბილისი: მეცნიერება, 1979.
- ლორენცი 1990:** Klaus Lorenz, *Die Römisch-Katolische Kirche in der Sowjetunion*, München, Luzern, Wien and Brixen, Kirche in Not/Ostpriesterhilfe, 1990.
- ნაცვლიშვილი 2015ა:** ნათია ნაცვლიშვილი, „კუკიის კათოლიკური სასაფლაო და სამლოცველო“, *არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918)*, პროექტის მაცნე, თბილისი, 2015, 108-121.

- ნაცვლიშვილი 2015ბ:** Natia Natsvlishvili, "A Struggle for Identity: Georgian Catholics and Their Monastery in Istanbul", *Caucasus Survey*, Vol. 3, №1, 2015, 76-86.
- პაპაშვილი 1995:** მურმან პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი: აღმაშენებელი, 1995.
- ფრეიზი 1984:** Charles Frazee, "Vincentian Mission in the Islamic World", *Vincentian Heritage Journal*, Vol. 5, Iss. 1, Article 1, 1984, available at: <http://via.library.depaul.edu/vhj/vol5/iss1/1>.
- ფურიერი 1992:** ანჯეი ფურიერი, „თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ისტორიიდან“, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, №310, თბილისი, 1992, 224-230.
- ხოშტარია 2009:** დავით ხოშტარია, „ხარების ეკლესია თბილისში“, *საქართველოს სიძველენი*, №13, თბილისი, 2009, 159-167.
- ჭიჭინაძე 1906:** ზაქარია ჭიჭინაძე, სამცხე-საათაბაგო და ქართველ კათოლიკენი, ტფილისი: სტამბა მ. ვ. ხელაძისა, 1906.
- ჭიჭინაძე 1904:** ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები, თფილისი: არ. ქუთათელაძის სტამბა, 1904.

Natia Natsvlashvili

Ilia State University

Catholic Churches in Georgia: Builders and Benefactors

(The 19th and Early 20th Centuries)

Keywords: Catholic churches in Georgia; church building; sources of fundraising; building patronage

The history of Catholicism in Georgia started with the arrival of Dominican and Franciscan friars in Georgia during the reign of Queen Rusudan (1223-40).¹ In 1328, by order of Pope John XXII, a Latin diocese was established in Tbilisi and the Cathedral of St. John the Baptist was built. The diocese existed until 1507. In 1661, the Holy See entrusted missionary work among Georgians to Capuchin priests. They worked vigorously in semi-independent kingdoms and principalities in east and west Georgia and usually received a friendly welcome from the local population and rulers.

By the early 19th century when the Russian Empire had annexed Georgia, Catholic communities existed in several regions of the country. With the exception of Akhaltsikhe, they mainly followed the Latin rite in urban centres. The ethnic structures of these communities differed from city to city. In Tbilisi, it was a multi-ethnic community composed of Georgians, Armenians, Poles, Frenchmen, Italians, etc. In Kutaisi, the Catholic community was predominantly ethnic Georgian, while in Gori and Batumi they were comprised of both Georgians and Armenians.

The situation was different in the provinces of Samtskhe and Javakheti in south Georgia and their main urban centre Akhaltsikhe. The Russian Empire took this region from the Ottoman Empire as a result of the Russo-Turkish

1 Regarding the history of Catholicism in Georgia see: Lomsadze 1979; Papashvili 1995; Ivelashvili 2009. In European languages, see Tamarati 1910, which remains the most comprehensive work on the subject, devoting whole chapters to various aspects of the formation and development of Catholic communities in Georgia; Modern Western authors mainly focus on the history of the Soviet period. See, for instance: Lorenz 1990:79-80; Zugger 2001, 55-57, 130-131, 213-224; See also: Doborjginidze 2012; Natsvlashvili 2015b.

wars in 1828 and 1878. Under Ottoman rule, local Catholic Georgians were ministered to by the Unifying Friars of St. Gregory the Illuminator, the Armenian branch of the Dominican Order that had adopted the Armenian rite and language in church worship. Owing to their activity, a strong Armenian tradition had been formed among the Catholics of the region of both Georgian and Armenian origin that was zealously upheld by the local clergy. Only in the 1730s, did the Capuchins manage to establish their mission in Akhaltsikhe. In the 19th century, Catholics were living both in Akhaltsikhe and villages of the region. The majority of them followed the Armenian rite. Only a part of ethnic Georgian Catholics belonged to the Latin rite.

